SOCAR
KULEVI OIL TERMINAL

Black Sea Terminal LLC
Kulevi, Khobi, 5800, Georgia
Phone: (995 32) 224 38 38
Fax: (995 32) 224 38 39
E-mail: info@bst.socar.az
www.kulevioilterminal.com

№ SCRK/LO-21/04-1404

2021 წლის 20 აპრილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრს,
ბატონ ლევან დავითაშვილს

ბატონო ლევან,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ხობის მუნიციპალიტეტში შპს „შავი ზღვის ტერმინალი" ფლობს ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალს, რომლის პროექტის ფარგლებში ფუნქციონირებს N6 სარეზერვუარო პარკი. აღნიშნული (№6) სარეზერვუარო პარკის ფუნქციონირების საკანონმდებლო საფუძველს წარმოადგენს:

ა) შპს „შავი ზღვის ტერმინალის" ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალში, №6 სარეზერვუარო პარკში, 2000 კუბ.მ მოცულობის ტოქსიკური და სხვა საშიში ნივთიერებების (იზოპროპილის სპირტის) საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ 2021 წლის 11 იანვრის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-29;

ბ) შპს „შავი ზღვის ტერმინალის" ყულევის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადასატვირთ საზღვაო ტერმინალში, №6 სარეზერვუარო პარკში, 2X3000 კუბ.მ და 2X2000 კუბ.მ მოცულობის ნავთობპროდუქტების (პიროლიზური პროდუქტის და ინდუსტრიული ზეთის) საცავის მშენებლობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ 2021 წლის 11 იანვრის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება N 2-30;

მოგმართავთ განცხადებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად მარტივი ადმინისტრაციული წარმოების წესით ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების ერთ გადაწყვეტილებად გაერთიანებისთვის, ვინაიდან, როგორც მოგეხსენებათ, ზემოაღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებები ტექნიკურად და ფუნქციურად ურთიერთდაკავშირებულია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით გთხოვთ შეწყვიტოთ ადმინისტრაციული წარმოება კომპანიის 2021 წლის 8 აპრილს წარმოდგენილ N SCRK/LO-21/04-0601 სკრინინგის განცხადებაზე.

პატივისცემით,

კარიმ გულიევი

შპს „შავი ზღვის ტერმინალი"-ს

გენერალური დირექტორი

LIMITED COMPANY BLACK SEA TERMINAL 204892170 GEORGIA

№ 7139
"21" 04 2021
1 ფ.
03